ინფორმაცია

კურორტ ბახმაროს 2016 წლის საკურორტო სეზონისათვის მზადებისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში საკურორტო სეზონის ჩატარებას და დამსვენებელთა მომსახურებას უზრუნველყოფს ა(ა).ი.პ.-ი კურორტი ბახმარო, (დირექტორი დავით საჯაია).

ა(ა).ი.პ კურორტ ბახმაროს მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 70.0 ათასი ლარი. მ.შ ხელფასია 38.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა რომ კურორტ ბახმაროს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ყოველწლიურად სოლიდური თანხები იხარჯება, მიმდინარე საკურორტო სეზონის წინ სერიოზეული პრობლემებია გადასაჭრელი, რაც ხელს შეუშლის კურორტის ნორმალურ ფუნქციონირებას. გასულ წელს მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა განსაკუთრებული პრობლემები შექმნა კურორტის ელექტრო ენერგიის მომარაგების მხრივ, წაქცეულია საყრდენი ბოძები, მიუხედავად კურორტზე მოქმედი, დაცვის ორგანიზაციებისა მოპარულია ელექტრო გადამცემი სადენები, დაზიანებულია ტრანსფორმატორები. აღსადგენია 20 საყრდენი ბოძი. შესაძენია 1000 მეტრი სადენი. სასწრაფოდ აღსადგენია მდინარე გუბაზეულზე გადასასვლელი ხიდი, რომელსაც გამოეცალა ბურჯი(ცალკე შესასწავლია ეს საკითხი, ხიდი აშენებულია წინა ხელისუფლების დროს 2010 წელს. სანახავია ექსპერტიზის დასკვნაც ხიდის ექსპლუატაციაში გაშვების დროს), სავალალო მდგომარეობაშია და აღსადგენია შიდა გზები, განსაკუთრებით იმ უბნებში, რომელიც სულ ახლახანს შეკეთდა(ჩოხატაურის ქუჩა). სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს სასმელი წყლის შიდა ქსელზე, გასასინჯია წყალიც, რომლის გარეშეც არ შეიძლება დამსვენებელს მიეწოდოს იგი. გურიის ქუჩაზე სერიოზულად არის დაზიანებული კანალიზაციის ქსელი. ბახმაროში არ არის სტაბილური შუქი. ეს პრობლემა წლებია ვერ გადაიჭრა.

კურორტის სანიტარული მდოგომარეობა სავალალო იქნება თუ სასწრაფოდ არ იქნა შეძენილი მინიმუმ 50 სანაგვე ურნა. მიმდინარე წელს კურორტზე არ დაიდგმება საპირფარეშოები, სააგარაკო სახლების მეპატრონეთა გარკვეულ რაოდენობას ლეგალიზებით დაუკანონდა ფართი საპირფარეშოს ასაშენებლად და ისინი თვითონ ააშენებენ შენობებს, მაგრამ უმრავლესობა მაინც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

კურორტის დირექციას ა(ა).ი.პ-ის დებულებით ევალება უნებართვო მშენებლობებზე შესაბამის სამსახურებზე ინფორმაციის მიწოდება. გასულ წელს როგორც კურორტის

დირექტორმა აღნიშნა იყო დაფიქსირებული უნებართვო მშენებლობის ფაქტი, არც ერთ ასეთ ფაქტზე ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურიდან არც ერთი საჯარიმო აქტი არ არის შედგენილი, რაც მიმდინარე წელს წაახალისებს უნებართვო მშენებლობებს.

კურორტის ტერიტორიაზე კვლავაც მოსალოდნელია პირუტყვის უნებართვო ძოვება. არ არის სპეციალური ჩიხი მოწყობილი. ჯერ კიდევ არ არის .შემუშავებული დამსვენებელთა ტურისტულ მომსახურეობების ორგანიზების გეგმა. არ არის შედგენილი მარშუტები, კურორტის ტერიტორიაზე კერძო ფიზიკური პირები ეწევიან სხვადასხვა მომსახურეობას, საიდანაც შემოსავალი არ აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კურორტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს აბანო, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, აბანომ ა(ა).ი.პ. კურორტ ბახმაროს შესაძლებელია მნიშვნელოვანი შემოსავალი მისცეს, კურორტის ტერიტორიაზე შესაძენია და მოსაწყობია სხვადასხვა ატრაქციონები და გასართობები.

დამსვენებელთა კულტურული დასვენებისთვის ჯერჯერობით გარდა ფერიცვალობის დღესასწაულისა არც ერთი ღონისძიება არ არის დაგეგმილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კურორტ ბახმაროს საკურორტოს სეზონის დაწყებისათვის სასწრაფოდ შესადგენია ხარჯთაღრიცხვები და მოსაძიებელია თანხები, რაც ჯერ-ჯერობით გაკეთებული არ არის და საკურორტო სეზონის დაწყება სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, რაც დამსვენებელთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რასაც წინა წელსაც ჰქონდა ადგილი.